



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N2 - ანგარიში

1. კლიენტს შეიძლება გაეხსნას მიმდინარე ანგარიში.
2. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს ბანკში აქვს ანგარიში, იგი უნდა ფლობდეს მინიმუმ ერთ ანგარიშს ეროვნულ ვალუტაში.
3. კლიენტს უფლება აქვს:
 - 3.1. მოითხოვოს როგორც ერთვალუტიანი ანგარიშის, ასევე მულტისავალუტო ანგარიშის გახსნა.
 - 3.2. მოითხოვოს ანგარიშის დახურვა შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, ბანკში დადგენილი წესებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
 - 3.3. მოითხოვოს რამდენიმე ანგარიშის ერთდროულად გახსნა, ხელშეკრულებით, კანონმდებლობითა და ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
 - 3.4. მისცეს ბანკს დავალება ანგარიშზე ოპერაციების განსახორციელებლად.
 - 3.5. განახორციელოს ოპერაციები მის ანგარიშზე ბანკში არსებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. მათ შორის მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად.
4. კლიენტი ვალდებულია:
 - 4.1. ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკის ან აღნიშნული თანხის მესაკუთრის მოთხოვნით, დაუყოვნებლივ დაუბრუნოს თანხა მესაკუთრეს.
 - 4.2. დაუბრუნოს ბანკს ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა, ხოლო აღნიშნული თანხის შესახებ ბანკის მიერ კლიენტის შეტყობინებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში კლიენტის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს ყოველდღიური პირგასამტეხლო წინამდებარე ქვებუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) თანხის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის მოცულობით. აღნიშნული პირგასამტეხლო კლიენტს არ დაერიცხება ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში.
 - 4.3. მუდმივად ჰქონდეს ანგარიშზე ოპერაციის განხორციელებისა და საკომისიოს დაფარვისათვის აუცილებელი ოდების თანხა.
5. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე:
 - 5.1. ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები გამოიყენოს საკრედიტო რესურსების სახით.
 - 5.2. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში ანგარიშზე თავისუფალი (ბანკისათვის ხელმისაწვდომი) თანხა არ არის საკმარისი ოპერაციის შესრულებისათვის, შეაჩეროს ან/და უარი განაცხადოს ოპერაციის განხორციელებაზე.
 - 5.3. შეცვალოს ანგარიშის ტიპი, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულად და ჯეროვნად შესრულების მიზნით.
 - 5.4. ჩამოწეროს ანგარიშიდან ნებისმიერი მიზეზითა და ნებისმიერი პირის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხა.
 - 5.5. მესამე პირის მიერ ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის/შეტანის შემთხვევაში: ა) კლიენტსა და შესაბამის მესამე პირს შორის დავის მოგვარებამდე დაბლოკოს აღნიშნულ თანხაზე წვდომა ; ან/და ბ) ჩამოჭრას შეცდომით ჩარიცხული თანხა ანგარიშიდან და დაუბრუნოს შესაბამის მესამე პირს, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის/შეტანის ფაქტთან ერთად, დასტურდება, რომ აღნიშნული ოპერაცია შეცდომით მოხდა.
 - 5.6. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დახუროს ანგარიში ან/და შეაჩეროს/შეწყვიტოს ანგარიშზე ნებისმიერი ოპერაციის წარმოება, თუ ბანკი ჩათვლის, რომ ანგარიშის გამოყენება ხდება არაკანონიერი მიზნებისთვის ან/და თუ სანქციების ორგანოს გადაწყვეტილებით ან/და ბანკში დადგენილი წესებისა და პოლიტიკის შესაბამისად დაუშვებელია ანგარიშის არსებობა ან/და მასზე რაიმე ოპერაციის წარმოება. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ანგარიშის დახურვა შესაძლოა განხორციელდეს კლიენტის ინფორმირების გარეშე. ამასთან ბანკის გადაწყვეტილების საფუძველზე ანგარიშის დახურვის



- შემთხვევაში, **ანგარიშზე** განთავსებული ფულადი სახსრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენახვას/დეპონირებას უზრუნველყოფს **ბანკი**, რომელიც **კანონმდებლობით** დადგენილი წესით ექვემდებარება დაბრუნებას, **კლიენტის** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მომართვის საფუძველზე.
- 5.7. **ანგარიშიდან, ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ/**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას ყველა სახის **საკომისიო**, აგრეთვე **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები.
- 5.8. **კლიენტის ანგარიშზე თვითმომსახურების ტერმინალის** ან/და სხვა ტექნიკური მოწყობილობის საშუალებით მიმოქცევისთვის უვარგისი ბანკნოტის ან/და მონეტის შესაბამისი ნომინალური ოდენობის თანხის შეტანის შემთხვევაში, ასევე შეტანილი მიმოქცევისთვის უვარგისი ბანკნოტის ან/და მონეტის ნომინალური ღირებულების თანხის **გადარიცხვის/გადახდის ოპერაციის/განაღების ოპერაციის** შესრულების შემთხვევაში, განახორციელოს შეტანილი ან/და განკარგული მიმოქცევისთვის უვარგისი ბანკნოტის ან/და მონეტის თანხის სრული ოდენობით **კლიენტის ანგარიშიდან** თანხის ჩამოჭრა ან/და **კლიენტის ანგარიშზე არასანქცირებული ლიმიტის** დაშვება.
- 5.9. არ მიიღოს **ანგარიშზე** შენატანი და მოსთხოვოს **კლიენტს ანგარიშის** დახურვა.
- 5.10. **კლიენტის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დახუროს **ანგარიში**, თუ:
- 5.10.1. **ანგარიში** გახსნილია **ბანკის** მიერ შეცდომით.
- 5.10.2. **ანგარიში** დაკავშირებული იყო რომელიმე სახის **საბანკო პროდუქტთან** და შესაბამისი **საბანკო პროდუქტი** ნებისმიერი მიზეზით აღარ არის მოქმედი ან **კლიენტი** აღარ სარგებლობს ამ **საბანკო პროდუქტით**.
- 5.10.3. **ანგარიშზე** ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ფიქსირდება ბრუნვა;
- 5.10.4. ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **ანგარიშის** მომსახურების **საკომისიო**;
- 5.10.5. **ანგარიშის** დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია **სანქციების ორგანოს** გადაწყვეტილების/სანქციის ან/და **ბანკის** ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ პოლიტიკა/პროცედურების საფუძველზე.
- 5.11. **5.10.2, 5.10.3** და **5.10.4 ქვეპუნქტებით** განსაზღვრული **ანგარიშის** დახურვა განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:
- 5.11.1. **ანგარიშზე** არ არის ფულადი ნაშთი და არ არის დაშვებული/წარმოშობილი **ოვერდრაფტი/არასანქცირებული ლიმიტი**;
- 5.11.2. **ანგარიშთან** არ არის დაკავშირებული არც ერთი სახის საბანკო კრედიტი (ამ პუნქტით განსაზღვრული დებულება არ გავრცელდება **ოვერდრაფტზე**);
- 5.11.3. **ანგარიშთან** დაკავშირებული ყველა **ბარათის**, მათ შორის **დამატებითი ბარათის** მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვის გასულია. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშ(ებ)თან** დაკავშირებული **ბარათი** საკრედიტო ტიპისაა (ის **ბარათ(ებ)ი**, რომლებზეც დაშვებულია **ხარჯის საკრედიტო ლიმიტი**) მისი მოქმედების ვადა მინიმუმ 6 (ექვსი) თვის გასული უნდა იყოს.
- 5.12. **ანგარიშიდან**, უაქცეპტოდ ჩამოჭრას **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე შესასრულებელი ნებისმიერი ფულადი ვალდებულების ოდენობის თანხა.
6. **კლიენტის** უფლებამოსილია, განახორციელოს კონვერტაციის გარიგება **ბანკთან ტელეფონ ბანკით** მომსახურების ფარგლებში შეთანხმებული **ბანკის** სტანდარტული კურსისგან განსხვავებული კურსით, **ბანკთან** შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
7. **ბანკი** ვალდებულია:
- 7.1. **კანონმდებლობით** დადგენილ ვადებში ჩარიცხოს **ანგარიშზე** შემოსული თანხები.
- 7.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი შესაბამისი საგადახდო **დავალების** საფუძველზე **ანგარიშიდან** შესაბამისი ოდენობის თანხა დანიშნულებისამებრ გადარიცხოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 7.3. ჩამოჭრას **კლიენტის დავალებით**, ხოლო **კანონმდებლობით** და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში **დავალების** გარეშე, შესაბამისი თანხები **კლიენტის ანგარიშიდან** მესამე პირების (ისევე როგორც **ბანკის**) საბანკო ანგარიშზე ჩასარიცხად.



- 7.4. მიიღოს კლიენტისაგან ნაღდი ფული ანგარიშზე შესატანად ან/და გასცეს კლიენტზე ნაღდი ფული ანგარიშიდან.
- 7.5. კლიენტს მოთხოვნისთანავე გადასცეს ამონაწერი.
8. წინამდებარე დანართის 5.10 პუნქტით განსაზღვრული ანგარიშის დახურვის პირობები ვრცელდება ყველა სახის ანგარიშზე მიუხედავად იმისა, თუ როგორ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს ბანკსა და კლიენტს შორის არსებული/მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულება/დოკუმენტი, თუ აღნიშნულ ხელშეკრულებაში/დოკუმენტში არ არის კონკრეტული მითითება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით/დოკუმენტით დადგენილ ანგარიშის დახურვის პირობებს უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დანართით განსაზღვრულ პირობებთან.
9. როგორც ერთვალუტიანი ანგარიშის, ასევე მულტისავალუტო ანგარიშის შემთხვევაში კლიენტი ყოველთვიურად გადაიხდის მხოლოდ ერთი ანგარიშის მომსახურების საკომისიოს, ანგარიშის ტიპის შესაბამისად.
10. კლიენტს ანგარიშიდან ოპერაციების განსახორციელებლად გადაეცემა ანგარიშის რეკვიზიტები.
11. თუ ბანკის გადაწყვეტილებით კლიენტის ანგარიში უნდა დაიხუროს, კლიენტს გაეზიარება წერილობითი მოთხოვნა რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლიენტს მოეთხოვება ანგარიშის დახურვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანგარიშის დახურვა სრულდება კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კლიენტი არ დახურავს ანგარიშს, ბანკს უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები/ჩარიცხვები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული (არსებული) ან/და ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი და დახუროს ანგარიში.
12. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს წერილობით ან ელექტრონული ფორმით მოსთხოვოს ბანკს ანგარიშის დახურვა. ელექტრონული ფორმით ანგარიშის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოთხოვოს ანგარიშის დახურვის შესახებ წერილობითი ფორმით მოთხოვნის დაფიქსირება.
13. დაუშვებელია კლიენტის ეროვნულ ვალუტაში არსებული უკანასკნელი ანგარიშის დახურვა მანამ, სანამ კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს ანგარიში უცხოურ ვალუტაში.
14. დაუშვებელია ანგარიშის დახურვა თუ იგი წარმოადგენს აქტიური კრედიტის მომსახურე ანგარიშს ან/და კლიენტს ბანკის წინაშე აქვს რაიმე სახის დავალიანება/ფულადი ვალდებულება.
15. კლიენტის მიერ ანგარიშის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში:
 - 15.1. თუ დახურვის მომენტისთვის ანგარიშზე განთავსებულია თანხა, კლიენტი ვალდებულია ანგარიშის დახურვამდე გაიტანოს აღნიშნული თანხა ან/და გადარიცხოს ის სხვა ანგარიშზე ან მესამე პირის საბანკო ანგარიშზე.
 - 15.2. ბანკი უფლებამოსილია არ დახუროს ანგარიში:
 - 15.2.1. წინამდებარე დანართის 13 და 14 პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში და აღნიშნულ ანგარიშზე დაუშვას მხოლოდ შეზღუდული ოპერაციები ანგარიშზე რიცხული ან/და ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარვის უზრუნველყოფის მიზნით);
 - 15.2.2. ანგარიში წარმოადგენს აქტიურ საბანკო პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებულ ანგარიშს ან/და ანგარიშზე არსებული თანხა დაგირავებულია საბანკო პროდუქტიდან/მომსახურებიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად;
 - 15.2.3. ანგარიშზე ირიცხება დადებითი ნაშთი;
 - 15.2.4. ანგარიში არის ბლოკირებული ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით შეზღუდულია სარგებლობა;
 - 15.2.5. ანგარიშზე ირიცხება დავალიანება.
 - 15.3. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი, თუ ანგარიშის დახურვის გამო კლიენტი ვერ ისარგებლებს იმ საბანკო პროდუქტით/მომსახურებით, რომლის ფარგლებშიც ანგარიში განსაზღვრული იყო საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისთვის.
 - 15.4. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მოთხოვნილია სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის დახურვა და დასახური ანგარიშის ვალუტა განსხვავდება დადებითი ნაშთის გადასატანად კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული ანგარიშის ვალუტისგან, მაშინ შესაბამისი თანხა დაკონვერტირდება



- ანგარიშის დახურვისას ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად და ჩაირიცხება განაცხადში მითითებულ ანგარიშზე.
16. ბანკის მიერ, კლიენტის თანხმობის გარეშე ნებისმიერი ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, თუ დახურვის მომენტისთვის ანგარიშზე განთავსებულია თანხა, ბანკი აღნიშნულ თანხას გადარიცხავს კლიენტის სხვა ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს სხვა აქტიური ანგარიში, მაშინ დასახურ ანგარიშზე არსებული თანხის დეპონირება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის, ბანკის შიდასაბანკო ანგარიშზე გადატანის გზით.
 17. ბანკში არსებული კლიენტის ყველა უნივერსალური ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შეუწყვიტოს ყველა ტიპის დისტანციური საბანკო მომსახურება, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა კლიენტს ბანკში სტანდარტული მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი.
 18. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული საშუალებით, დისტანციურად ან ბანკისთვის მისაღები სხვა ფორმით.
 19. კანონმდებლობის ფარგლებში, კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.
 20. უნივერსალური მიმდინარე ანგარიში შეიძლება იყოს ერთვალუტიანი ანგარიში ან მულტისავალუტო ანგარიში. თუ მხარეთა შეთანხმებით ან/და განაცხადით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, უნივერსალურ მულტისავალუტო ანგარიშზე შესაძლებელია დაუკავშირდეს მხოლოდ ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ფუნტის ვალუტები. უნივერსალური მულტისავალუტო ანგარიშის ძირითადი ვალუტად ავტომატურად განისაზღვრება ლარი. კლიენტს განაცხადის საფუძველზე საშუალება აქვს აირჩიოს უნივერსალური მულტისავალუტო ანგარიშის სხვა ძირითადი ვალუტა. ძირითადი ვალუტის ცვლილების შემთხვევაში ბანკი ამ ანგარიშზე ოპერაციას არ შეასრულებს კლიენტის მიერ აღნიშნული ცვლილების თაობაზე მოთხოვნის ბანკში წარდგენის საბანკო დღეს.
 21. უნივერსალური მულტისავალუტო ანგარიშიდან ოპერაცია პირველ რიგში განხორციელდება ამ ოპერაციის შესაბამისი ვალუტის ანგარიშიდან, თუ არსებობს შესაბამისი ვალუტის ანგარიში და მასზე განთავსებულია თანხა. იმ შემთხვევაში თუ ამ ანგარიშზე არ იქნება ოპერაციის შესრულებისათვის საკმარისი თანხა, თანხის საჭირო ნაწილი თავდაპირველად ჩამოიჭრება ძირითადი ანგარიშიდან, ხოლო შემდეგ დანარჩენი ანგარიშ(ებ)იდან შემდეგი თანმიმდევრობით: ქართული ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი. იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია სრულდება ზარათის მეშვეობით, კონვერტაციის დეტალური პირობები განიზღვრება საერთო პირობების დანართი #5-ი ზარათი.
 22. მულტისავალუტო უნივერსალურ ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს ოვერდრაფტის დაფარვის ორი მეთოდი (გარდა ოვერდრაფტის ფარგლებში დავალიანების წარმოშობის შემთხვევისა):
 - 22.1. ნაშთების პრიორიტეტულობა - ასეთ შემთხვევაში, ოვერდრაფტის ლიმიტი დაიფარება მულტისავალუტო ანგარიშზე ნებისმიერი ვალუტის ანგარიშზე განთავსებული თანხიდან, მიუხედავად იმისა ოვერდრაფტი რომელი ვალუტის ანგარიშზეა დაშვებული;
 - 22.2. ოვერდრაფტების პრიორიტეტულობა - ასეთ შემთხვევაში, ოვერდრაფტის ლიმიტი დაიფარება მხოლოდ იმ ვალუტის ანგარიშიდან, რა ვალუტის ანგარიშზეც არის დაშვებული ოვერდრაფტი;
 23. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის განაცხადით არ არის არჩეული ოვერდრაფტის დაფარვის მეთოდი, ავტომატურად მიეთითება ნაშთების პრიორიტეტულობის მეთოდი.
 24. ნაშთების პრიორიტეტულობის შემთხვევაში, თუ ოვერდრაფტის ვალუტაში არსებულ ანგარიშზე არ არის ოვერდრაფტის დაფარვისათვის საკმარისი თანხა, ოვერდრაფტის დავალიანება დაიფარება ავტომატურად, ყოველდღიურად უნივერსალური ანგარიშის სხვა ვალუტებიდან.
 25. ოვერდრაფტების პრიორიტეტულობის შემთხვევაში, თუ ოვერდრაფტის ვალუტაში არსებულ ანგარიშზე არ არის ოვერდრაფტის დაფარვისათვის საკმარისი თანხა, სხვა ვალუტაში არსებული თანხებიდან ოვერდრაფტის დავალიანება ავტომატურად არ დაიფარება. ოვერდრაფტის დავალიანების დაფარვა განხორციელდება ოვერდრაფტის სრულად დაფარვის თარიღში.



საქართველოს ბანკი